

BI11 Estore – სალიცენზიო შეთანხმების პირობები

კომპიუტერულ პროგრამა „BI11 Estore“-სთან მუშაობის დაწყება ნიშნავს, რომ თქვენ გაეცანით და ეთანხმებით წინამდებარე სალიცენზიო შეთანხმებას.

სალიცენზიო შეთანხმება წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს პროგრამის საბოლოო მომხმარებელს და შპს „ბიზნესინფო 2011“-ს შორის. თუ თქვენ არ ეთანხმებით ქვემოთმოყვანილ პირობებს, მაშინ იურიდიული უფლება არა გაქვთ ისარგებლოთ აღნიშნული პროგრამით.

საავტორო უფლება კომპიუტერული პროგრამა „BI11 Estore“-ზე ეკუთვნის შპს „ბიზნესინფო 2011“-ს.

პროგრამის გამოყენებაზე უფლების შეძენის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია თავის კომპიუტერზე დააყენოს და გამოიყენოს პროგრამის ასლების ნებისმიერი რაოდენობა.

გამოყენების უფლების გადაცემა მესამე პირზე შეზღუდული არ არის, თუკი მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს სალიცენზიო პირობები. ამ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ მესამე პირს პროგრამის მუშაობისთვის აუცილებელი მასალები, ხოლო თვითონ შეწყვიტოთ პროგრამის გამოყენება და წაშალოთ მისი ყველა ასლი თქვენს კომპიუტერებში.

საგარანტიო მომსახურება გულისხმობს პროგრამის გამოყენების უფლების შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში უფასო სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს „ბიზნესინფო 2011“-ის ოფისში, აგრეთვე პროგრამის განახლებული ვერსიების უფასოდ მიღებას.

შპს „ბიზნესინფო 2011“ გარანტიას არ იძლევა, რომ პროგრამა უშეცდომოა. აგრეთვე ის შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. **შპს „ბიზნესინფო 2011“** არავითარ გარემოებებში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემების თუ ფულად დანაკარგებზე, რომლებიც პროგრამის გამოყენებით თუ მისი გამოყენების შეუძლებლობით იქნა გამოწვეული.